მედიისა და კომუნიკაციის სოციოლოგია

Sociology of Media and Communication

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

სოციოლოგიის მაგისტრი MA in Sociology; მედიისა და კომუნიკაციის სოციოლოგია Sociology of Media and Communication

3. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი:

(თსუ) ასოცირებული პროფესორი ამირან ბერძენიშვილი

4. სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

სამაგისტრო პროგრამის მიზნები მოიაზრებს: მაგისტრანტებისათვის მედიის და სოციალური კომუნიკაციების და საზოგადოებრივი ცხოვრების, საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ურთიერთგავლენის ცოდნას, თანამედროვე საზოგადოებაში ადამიანებს შორის სოციალური კომუნიკაციის როლის ზრდის სიძნელეებში გარკვევას, მათი ეფექტური დარეგულირების თეორიული საფუძვლების შემუშავებასა და თეორიული სქემების პრაქტიკული გამოყენების მეთოდოლოგიური უნარებისა და ჩვევების გამომუშავებას.

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სემინარები კვლევის სტრატეგიათა და მეთოდთა გამოყენების წვდომის გაღრმავებაზე იქნება მიმართული. მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმობა პროფესიული და კვლევის ეთიკის კონტექსტში დისკუსიური და პრეზენტაციის უნარების ვარჯიშს.

სამაგისტრო პროგრამების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია კონკრეტული კვლევითი საქმიანობის სწავლება ინტერდისციპლინური აზროვნების განვითარების საფუძველზე, მაგისტრანტების დაინტერესება რეალური ემპირიული კვლევებით საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

სწავლების შედეგი აისახება შემდეგნაირად:

_ პროგრამული სწავლება მოიაზრებს პირველ საფეხურზე მიღებული განათლების გაღრმავებასა და კურსდამთავრებულთათვის საინტერესო იდეების ემპირიულ_კვლევით რეალიზაციის შესაძლებლობას. სამაგისტრო პროგრამის გავლის შემდეგ კურსდამთავრებულებს ექნებათ სოციალურ კომუნიკაციებსა და მედიაკომუნიკაციებთან დაკავშირებული აქტუალური თემატიკის ცოდნა, რომელიც მოიცავს ამ სფეროსათვის აუცილებელ ტერმინოლოგიურ, ცნებით აპარატს, სოციალურ კომუნიკაციების და საზოგადოებასთან ურთიერთობების მეთოდოლოგიური პრინციპებისა და თეორიების კრიტიკულ ანალიზს, თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე გლობალური ცვლილებების ცოდნის, მედია კომუნიკაციების კლასიკურ და თანამედროვე სოციოლოგიურ მიდგომებს, სოციალური კომუნიკაციების ტიპოლოგიას.

_ ორიენტირებულია მაგისტრანტთა კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე, ინტელექტუალური ინიციატივის, ინფორმაციის მოგროვების, ორგანიზების და გამოყენების, პრობლემათა აღქმისა და გადაჭრის, ინფორმაციის მართებულობის შემოწმების, ურთიერთგამომრიცხავი თეორიების დისკრიმინირების, არგუმენტების ნათლად, თანმიმდევრულად და მოკლედ ჩამოყალიბების, წერილობითი და სტატისტიკური მასალის ნათლად და სათანადოდ პრეზენტაციის უნარის გამომუშავებაზე.

_ კურსდამთავრებულთა წარმატებული პროფესიული საქმიანობა გულისხმობს შეძენილი ცოდნისა და უნარ-ჩვევების გამოყენებას განსხვავებულ სოციალურ კონტექსტებში, სოციალური კომუნიკაციების და მასობრივი კომუნიკაციების სფეროთა ემპირიული კვლევისა და პროგნოზის მოთხოვნების პირობებში. შესაბამისად, კურსდამთავრებულთა კომპეტენცია მოიცავს სოციალურ პროცესთა კრიტიკულ ანალიზს, მათ შესასწავლად ემპირიული კვლევითი სტრატეგიისა და მეთოდების შერჩევა/გამოყენებას, მოპოვებული მონაცემების მათემატიკურ ანალიზს და ინტერპრეტაციას.

ამგვარად, მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა კომპეტენციაში შედის თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური ცვლილებების დინამიკის

ემპირიულ-კვლევითი შესწავლა და მათი უზრუნველყოფა რეალისტური და სიღრმისეული კონსულტაციებით.

_ მაგისტრატურის კურსდამთავრებულთა **დასაქმების სფეროები**:

სახელმწიფოებრივი ორგანოები, პოლიტიკური ორგანიზაციები, მასობრივი ინფორმაციის გენერირებისა და გავრცელების სამსახურები (მასმედია), პრეს-ცენტრები, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები, პოლიტიკური იმიჯის შემქმნელი ცენტრები, პოლიტიკური კონსულტაციების ცენტრები, საარჩევნო კამპანიის ჩამტარებელი ორგანიზაციები, არასამთავრობო დაწესებულებები და ორგანიზაციები.

5. პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

პროგრამაში სწავლის უფლება აქვთ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ ბაკალავრის ხარისხი სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, პოლიტიკური მეცნიერების, საერთაშორისო ურთიერთობების, ჟურნალისტიკის, ეთნოლოგიის სფეროში, აგრეთვე პროფესიის გამოცვლის მსურველ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ ბაკალავრის ხარისხი ჰუმანიტარულ თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სფეროში.

_ სამუშაო გამოცდილება: არ არის სავალდებულო.

_ მისაღები გამოცდები პროგრამაზე ჩასარიცხად:

უნდა ჩატარდეს ერთიანი ეროვნული საგამოცდო ცენტრისა და თსუს სტანდარტების შესაბამისად.

_ უნდა ჩატარდეს წერითი გამოცდა სპეციალურად ამ პროგრამისთვის შექმნილ საგამოცდო რიდერის ბაზაზე.

აუცილებელი წინაპირობა:

_ რომელიმე უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან დასაშვებია რუსულიც) B^1 დონეზე ცოდნა.